საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაისაია გურამ იონას ძე

მაისაია გურამ იონას ძე (1934. 12. VII, თბილისი, – 23. 04. 1992, იქვე), მეან-გინეკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1971).

1957 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედიცინო ინ-ტი. 1957-58 დაინიშნა სამკურნალო ფაკ-ტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის უფრ. ლაბორანტად. 1958–60 იყო ი. ჟორდანიას სახ. ქალის ფიზიოლ. და პათოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1960-დან მუშაობა დაიწყო თსსი-ის პედიატრიული, სანიტარიულ-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკ-ტების მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის ასისტენტად. 1971-დან ამავე კათედრის პროფესორია.

მ. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის მ. შ. 4 მონოგრაფიის ავტორი, რ-ებიც ეძღვნება პერინატალურ მედიცინას, გესტოზების პათოგენეზსა და მკურნალობას, ასევე გინეკოლოგიური დაავადებების ქირურგიული მკურნალობის მეთოდების სრულყოფას.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.